

ს ვ ა ლ დ



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახაზებიანი გაზეთი. გამოსვლის ყოველ კვირა დღეს.

№ 48.

ნოემბერი 21, 1893 წ.

№ 48.

შინაარსი:—თომა ელისსონი.—განთავადი დღეტუ მეგრელისა.—წმინდა მოწამე გობრონ გ. წერეთლისა.—ჩინოვნიკისმკნება კორტასისი.—ფრინველთა მსაჯულება.—ლია წერილი გ. წერეთელს ვალერიან გუნისისი.—სამხედრო კორწილიმ-კალისა—სახლ-მართი ვასართობი, განცხადებანი.

თომა ელისსონი




ვერემა ისახელა თავი ამ შეცხრამეტე საუკუნე-წეში საკეირეფილი გამოგონებით; 'მაგრამ, ევონება, ამ შემთხვევაში ამერიკელ ელისსოს ვერაეინ შეედრება. მისი გამოგონებით თითქოს საი-ქიოსა და სააქაოს მცხოვრებნი შეერთდენ, ერთმა-ნეთის ხედვენ, ელაპარაკებიან და ეკითხებიან ერთმა-ნეთის ეინაობას. დღეს ელისსონის გამოგონების მეოხებით, შესაძლებელია, რომ ჩვენ, საქართველოს მცხოვრებნი, ჩვენ-ჩივენი ოთახიდან ეხედავდეთ ლონ-დონ ში ინგლისის დედოფალს, მის მიხერა-მოხერას, გვე-სმოდეს მისი საუბარი, მისი ჩვეულებრივი ხმის კილა.

ამ დღებში თვით ჩვენ ტფილის ქალაქში გა-ზეთებმა გეაცნობეს, რომ მთავარმარტლებლის სასა-ხლოში ელისსონის გამოგონილის ფონოგრაფის მოწყობილობას მართვენო, რომ მთავარ-მართებელ-მა და მისმა ოჯახმა მოიშინოს სასახლეშივე პუ-შკინის თეატრში წარმოდგენილი ოპერეტკებიო. ნუ დაეიფიწყებთ, რომ ეს თეატრი სასახლიდან ვერს ნახვევარ სიშორებე მდებარეებს.

ყველაზე შესანიშნავია სამწაირი ელის-სონის გამოგონება: ტელეფონი, ფონოგრაფი და მიკ-

როფონი. ტელეფონის საშუალებით შეიძლება სა-ქართველოდან ევროპაში და ამერიკაში მყოფს მია-წვიდინო „ხმა“ და ესაუბრო, ფონოგრაფით შეიძლება



თქვენი ოთახიდან არ გამოხვიდენ და ინგლისის პარ-ლამენტში გლადსტონის სიტყუა გესმოდეს, მისივე

ხმით, ხოლო მიკროფონის საშუალებით შეგიძლიათ გლადსტონივე დაინახოთ, მისი აღღვებულნი სახე, მისი ხელების შლა, მისივე ჩვეულებრივი კილოთი ლაპარაკი წარმოგიდგეს თვალ წინ.

ნეტა რა ნაირად აღიზარდა ეს საკვირველი კაცი, რომელმაც ამისთანა გასაშტერებელი იარაღები გულთმისნობისა ხელთ მისცა კაცობრიობას და აღამალა ლეთებამდე კაცის გონიერება და მოხერხება?

ეს კაცი იყო შვილი ერთი ღარიბის ამერიკელისა, რომელიც ევაჭრობდა ძველი ტანისამოსებით, ჭინჭეულობით, მრავალნაირი ვატებილი, ვადავებულნი ჭურჭლებით და იარაღებით. ხშირად ამ საცოდავს კაცს და მის ცოლს დღიური ლუკმა არ ჰქონდა და შიმშილით კვებობდა. ასეთს ღარიბს ოჯახს დაეხდა საკვირველი ბავში, რომელმაც ევაკაცობაში ვადა-ქარბა გვირგვინოსნებს, სამეფო ტახტზე მჯდომარეთა, თავისი სახელით და დიდებით. მაგრამ ასეთია მართლწაჯულები ბუნების ძალებისა.

თომა ელისონი დაიბადა 1847 წელს მიჩიგანის შტატის პაწია ქალაქში პორტ-გურონში. 1859 წელს მეტად ცივი ზამთარა იდგა იმ ქვეყანაში. ერთ საღამოს ჭინჭეულობის მოვაჭრე თავის ოჯახში, ის იყო, ეახშაშა ათავებდა. არც ერთს არა ჰყოფნია საქმელი; მაგრამ დღემამა და მათი ერთად ერთი შვილი მიჩვეული იყვნენ, რომ ეახშაშს შემდეგ კიდევ ნახებოდნენ შვირგები ხშირად მიეცემოდნენ ხოლმე თაე-თაეიანთ კუთხეში დასაძინებლად.

ამ გასაწყლებულის ოჯახის პატრონი გვარად ელისონი იყო, რომელიც კარვა ხანია მოსულიყო ამერიკაში პოლონადიდან: იქნება რამე ბედს წაეატყეფო, მაგრამ არა ეშველარა, სიღარიბიდან და სისაწყლიდან ვერ გამოსულიყო. რა ხელობა არ ვამოეცადნა: დერძიკობა, მებღლობა, მებოტსნობა, ბოლოს ჭინჭეულობის ყიდა-გაყიდვას მიჰყო ხელი, მაგრამ არ იქნა, გლახაკობას მაინც თავი ვერ დააძრო. მისი ცოლი ჰკუიანი და საკმაოდ განათლებული იყო; იგი ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ რაც იცოდა, თავის ნიჭიერ შვილისთვის ესწავლებინა ჯერ კიდევ მის ყმაწვილობაში.

თომა ელისონი პატრონიდანვე შესანიშნავი ბავში გამოჩნდა; დედის ცოდნა ორ წელიწადსაც არ ჰყოფნია. რაკი წერა-კითხვას მიეჩინა, სითავლხარბით ეტანებოდა ყოველ წიგნს და მოუწყინარად კითხულობდა. ყმაწვილი მუდამ დაღერემილი გამოიქტირებოდა; იმას არაფერი არ ეჩინა ცალკე ყოფნას და წიგნების კითხვას.

ერთხელ სადილი რომ გაათავეს, ელისონს, ის იყო, გარეთ გაეარდა უნდოდა, რომ თავისი ახალი ნაშოვნის წიგნის კითხვა დაესრულებინა.

— მოიცა, შვილო თომა, მინდა მოგვლაპარაკო— შეაყენა მამამ.

ყმაწვილი შეკრთა. რალაც ფარსავი არა ეგონარა.

— შვილო ჩემო, შენ ახლა თორმეტი წლის ხარ, ჩვენში შენხელა კაცი, როცა შინ გაჭირებულნი არიან, გარეთ ვადის და თავს ირჩენს. მე რომ თუთხმეტის წლის შევიქნენ, ასე მოვიქციე, მაგრამ შენ თორმეტის წლისასაც შეგიძლია თავის რჩენა, ისეთი მარჯვე ბიჭი ხარ. აი, შვილო, რა მინდოდა შენთვის მეთქვა.

— მეც ეგრძობ, მამა რომ აწ დროა ჩემი ხელით ვირჩინო თავი, მაგრამ არ ვიცი, საით წავიდე და რას მოვიკილა ხელი.

— მოიცა, შვილო, მე ჯერ არ დამისრულებია ლაპარაკი. ამას წინეთი რკინის გზის უფროსს ტანი-სამოსი დაეუკერე და შევიტევე რამე მუშაობა ეშოვნა შენთვის რკინის გზაზე. ისიც დაშარდა. შენ მოგცემენ ვახეთებს და სხვა შევიღებან საეაქრო ნიეთებს გასაყიდათ: პურებს, ქაღალნებს და სხვ. იარე ევგონებში და ჰყიდე, რაც მეტს ვაჰყიდი, ისე მეტი მოგება დაგჩნება პატრონებისაგან. რაკი ერთხელვე შეეჩვევი ასეთს საქმეს, მერე ღმერთიც ხელს მოგიმართავს.

— მერე როდის უნდა წავიდე?

— დილის მატარებელი ჩამოვიღის ჩვენს სადგურთან შვიდ-საათ ნახევარზე. აქ მევაზთიეებს და ბუფეტჩიკებს შენთვის მოშადადებული ეწედათ საეაქრო. მოგცემენ კალთას, ჩახტი ევგონში და ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

— კარგი, მამა, მაშ ხელ წავიდე...


ამ დღიდან თომა ელისონმა გაიკვალა გზა ცხოვრებაში.

ცოტა ხანს შემდეგ ის წაატყდა ერთს რკინის გზის სადგურთან კარვა მოხრდილს საწიგნეს, საცა ბევრი სამეცნიერო წიგნები იყო. იქ იმას მოეწონა ჭიმის წიგნები და ისინი რომ ვადიკითხა, თავის ევგონში გამართა პაწია ლაბორატორია. იყიდა შუშები, წამლები და დაიწყო მუშაობა სხვა-და-სხვა სხეულებს შედგენილობისათვის. ერთხელ ფოსფორიანი შუშა ვადამოუარდა ფიტონიდან, გატყდა, დაიღვარა ფოსფორი და გაჩინა ცეცხლი ევგონში. მის და ბედათ შემოვარდა კონსტრუქტორი და ცეცხლი მოაქრო, თორემ დიდი უბედურება მოხდებოდა.

თომა ელისსონი კონწიკრით გაავდეს იმ რკინის გზიდან. შემდეგ იგი დადგა მოგამაგირეთ სხვა რკინის გზის სადგურზე. ერთ დღეს აქ რკინის გზის სადგურის უფროსის პაწია ბავში თამაშობდა რკინი გზის ლიანდაგზე და ამ დროს მიასწრო მას გამოქანებულმა მატარებელმა. თომა ელისსონი ეცა ბავშს და გადაარჩინა გასრესისაგან. რკინის გზის სადგურის უფროსი ისე მადლობელი დარჩა თომა ელისსონს, რომ თაყისათთან დააყენა და ტელეგრაფისტობა ასწავლა. ამ დღიდან გადაწყდა თომას ბედი.

თუმცა იგი ტელეგრაფისტი იყო; მაგრამ მას დღე-აღამე აღარ ეძინა. სწავლობდა ელექტრონის ძალას და ეჩვეოდა მის მოხმარებას ტელეგრაფის გაუმჯობესობისათვის. ცოტას ხანს შემდეგ ის დაიბარეს ნიუორკის ქალაქში და იქ ერთმა კაპიანაიმ

მიანდა მას მოშლილი მანქანის გაკეთება, რომელიც ბირჟის ფასების მანიჟერებელი იყო. თომა ელისსონმა არამც თუ ეს მანქანა ააწყო, მეორე მისი მაგიერი ახალი მანქანაც კი მოიგონა, რომელიც ბევრად უფრო გამოსადეგი აღმოჩნდა კაპიანისათვის. ამას შემდეგ თომა ელისსონი მიიპატრუა დასაფლეთის სატელეგრაფო კაპიანაიმ, როგორც უფროსი ინჟინერი, გაუჩინა დიდი ჯამაგირი, გაუკეთა ჩინებული ლაბორატორია და რამდენიც მას უნდოდა, იმდენი მოხელენი მიუჩინა სასამსახუროდ. ამიერიდან თომა ელისსონი გამდიდრდა და ალაპარაკა მთელი ვანათობული ქვეყნები თავის საკვირველი გამოგონებით, რომელზედაც ზემოთ ჩამოვადგეთ სიტყვა. ახლა თომა ელისსონს შეუსრულდა 43 წელი და მცნობიერება კიდევ ბევრს რასაც საკვირველ გამოგონებას მოეღის ამ ხუთის მიერ ნაკურთხის კაცისაგან.



ტ ა ნ თ ი ა დ ი

(პოემა)

(დასასრული)

XIII



რო მიღის... დამეს ელგეა ძალი,
ვარსკვლავთა კრება თანდათან ჰქრება;
სდუმდა ბუღბუღელი, ჰყვიის მამალი;
მთიარე ძლიეს-ღა ჰკრთის... აჰა, თენდება!

დიღის ნიღემა წყნარა დაჰქროლა,
უხეად ჰჳენს ქვეყნად ტბილ სუნწელებას;
მზემაც პირველი სხივი ისროლა,
ნელა აღიძვებს მძინარ ბუნებას.

აგერ ტოროლამ დაიფრთხილა
და გაისწორა პაწაწა ფრთები,
მერე უეცრად დაიკრიალა...
ცაში გაისმა მის ტბილი ხმები!

ეგერ გამოძერა კურდღლის ბაჭა,
თამამად წიწწის ბალახსა ცერაჲს;
კინტრიშობს, დახტის... სიანს, რომ ხამია,
ეგრ იცნობს გულ-ქვა ჯერ ადამიანს.

სასახლეშიაც გამოიღვიძეს,
მწვეარ-მეძებრებს უწყეს, ძახილი;
რომ საწადიროთ მიდიან, იგრძნეს
ძალთ და სიამით მორთეს წყავილი.

მუშაკთ ყანებში იწყეს გროვება,
ჯგუფად მოდიან, მოიმღერიან;
ამ სიმღერაში ბეერი ევება,
ტანჯვა, ცრემლები იხატებიან!

ჩენი მოხუცი თაე-ჩაღუნული
მილოდეს ეგერ იმ ადგილისკენ,
სად მდინარეზე არს გადებული
წერილი ჩელტ-ხიდი იმის სოფლისკენ.

XIV

მაშინ, როდესაც ფრინველთ გაღობას,
მუშაკთ სიმღერას, თახთა ჩხარა-ჩხურს,
ძაღვების ყეფას და ხმაურობას,
მონადირეთა კიენის უცნაურს

მოეცეა ახლად გაღვიძებული
მთა, ბარი, ველი, ტყე და ბუჩქნარი;
ვით პატარძალი, ტურფად მორთული,
იყო ბუნება, სამოთხის დარი,

ჩენი მოხუცი იდგა ხიღზედა
დასტკერდა წყალს აღშფოთებულსა,
როგორ მოხტოდა ზეირთი ზეირთზედა,
ისროდა ტალღებს აღქაფებულსა...

ე, ეგერ წმინდა თეთრი კენჭები
მოსჩანან, მოხუცს თვისკენ იწვევენ,
ეგერ პაწაწა ცურვენ თევზები
და თითქოს იმას თავს აწონებენ,
უეცრად ზევით ამოხტებიან,
მისხა სხივებზე იბჳყერიან
და მსწრაფად წყალშივე იმაღებიან,
თითქოს მოხუცსაც ჩასვლას ურჩევენ.

იქ, სადაც მისთვის დაგებულია
წერილი ქეიშა და ბალახი რბილი;
მყუდრო ცხოვრება სად დაკულია,
ისმის მხოლოდ წყლის ჩხრიალი ტბილი,

სადაცა იმას ვერ შეაწუხებს
 ამ სოფლის მკაცრი უსამართლობა,
 „მშია“-ო, ბავში ვერ დაუძახებს
 მოსვენებული ეჭნება გრძობა!..

XV

„მალაღო ღმერთო, ჩემს საწყალს სულსა
 შეუნდე ცოდვა ეს საშინელი.“

„რა ეჭნა?.. არ ძალუძს მეტი სუსტ გულსა
 ითმინოს ტანჯვა აუტანელი!“

სიქეა უბედურმა, შეხედა ცასა,
 მერე პირჯვარი გადაიწვრა
 და გახედა ჴორს მწვანე ყანასა,
 საით ისმოდა მუშაკთ სიმღერა.

„მშვიდობით, ჩემო ძმებო, გმორდებით,
 ევლარ შექმელი მუდამ წვალბა!..
 „ნუ თუ იმ დროს თქვენც ვერ მოეწვრებით,
 როს ქვეყანაზე პატიოსნება

„წმინდა სიმაართლე და სიყვარული
 დამკვიდრდებიან აღმოუფხვრელად,
 როცა ტანჯული და დანაგრული
 არ გაიწირვენ თავს მოსაკვლელად?

„თუ კი... თქვენ მაინც ხომ ზე აღსდგებით,
 გაზრება ცრემლის ღვარი თქვენს თეაღში,
 „თუ არა... თქვენც ხომ მე გამოწყვებით!“
 სიქეა და ჩაფარდნა უნდოდა წყალში,

„ბაბუ გამიშვი!“ - როცა მოცმა
 უეცრად იმას და მოხედა გულში,
 ვითარცა ტყვია, საბრალოს ეს ხმა;
 ხმამ დაუარა მას. მთელს სხეულში
 და მოახედა განცვივრებული ..
 წინ უდგა ბავში წიგნებით ხელში,
 გზის დაკლის მლოდე... კანქარებული
 ეშურებოდა სასწავლებელში.

XVI

„გამიშვი, ბაბუ!.. მივალ სკოლაში“,
 სიქეა კიდევ ბავში: „დამავიანდა!“
 მოხუცს ცრემლები მოადგა თეაღში
 და დაცალა გზა, ბავშვს გაქანდა!..

დაღხანს უყურა იმას მოხუცმა,
 დიდხან სანამდის არ მიიშალა;
 მერე ფიქრს მისცა დამშვიდებულმა
 თავი და სხე ვაღვემალა.

„სკოლაში მიდის, რომ შეიძინოს
 „ცოდნა აე-კარგის ვამოცნობისა,
 „ტყვილად არავის დაეჩვენოს,
 „ისწავლოს ზენ ამ წუთისოფლისა...“

„ისწავლეთ, ყრმანო, ისწავლეთ კარგად,
 რეგებ თქვენ მაინც გიხსნასთ სწავლამა!“
 წამოიძახა მოხუცმა და ღრმად
 ამოიოხრა თეაღ-ცრემლიანმა.

„ჩემ შვილი-შვილს-კი ვინ-ღა ასწავლის?“
 ჰუიქრობს: „საბრალოს რა ეშველება?
 „ღმერთმა რომ ხანი მისცეს, ხომ საწყლის
 „უსაცოდვეთი არეინ იქნება?

„არა... მარტოკა მისთვის ეიცოცლები!
 „წავალ, მოვივლი მთელს ქვეყანასა,
 „შევედვრები ყველას, ვიმთხველებ
 „და არ მოვავლებ იმას სწავლასა!..

„შენ მიწინამძღვრე, ძლიერო ღმერთო,
 „შენ შემეწიე მთხვეელს საწყალსა!“
 დაიძახა, ტკბილ ფიქრში გავრთო
 და მიაშურა ბატონის სახლსა.

XVII

დიდი ხანია მოხუცის გულსა
 ამ გვარი სიმწენე, ამ გვარი ძალი
 აღარ უგრძნენია გამწვარებულსა,
 არ ამგერილა ასე საწყალი.

დიდი ხანია მის სუსტ ფეხებსა
 ასე თამამად არ გაუვლიათ;
 დიდი ხანია მის მჭკრალს თეაღებსა
 ასეთი ბრწყინეა არ დაუწყიათ;

დიდი ხანია მთელი არსება
 მისი ასე არ აღფრთოვნებულა,
 რწმენა, იმედი და სასოება
 მასში ასე არ შეგვრთებულა;

დიდი ხანია, რომ ამისთანა
 გრძობა მის სულს არ მიჰკარებია;
 დიდი ხანია, მთელი ქვეყანა
 იმას ამ გვარად არ ჰყვარებია!..

აი, მიდის ის სასახლისკენა;
 მიდის... მივიდა... ჩუ, ეს ვინ არი?
 ახალგაზდა რომ მოდის მისკენა
 ხელში ბართა, პირ-მოცინარი?..

„ღმერთო, რას ენედევი?... ბატონიშვილს ჰგავს,
 „როგორ გაზრდილა, გაკეთებულა!
 მაგრამ მის ხელში ბარი რას ჰწინავს,
 „ნუ თუ მუშადა ვადაქცეულა?“

ჰუიქრობს მოხუცი და გაშტერებით
 მისხერებია ყმაწვილს მომავალს...
 ისიც მოვიდა და მოწიწებით
 ორი ერთმანეთს აძღვეენ სალამს...

XVIII


„ღმეთისგან ნაკურთხი და დალოცვილი
 „იყოს ის სწავლა და განათლება,
 „რომელმაც მხეცის ბატონის შვილი
 „კაცად აქცია და შებრალება
 „ასწავლა მათი, ვინც ტანჯულია,
 „ვისიცა ოფლით, კრემლით, და სისხლით
 „ეს დედამიწა მთლად მარწყულია,
 „მაგრამ მაინც კი ჰყვდება სიმშობლიო...
 „გმადლობ შენ, ღმერთო, რომ მომასწარი
 „ამ დროს ბედნიერს, დროს სანეტაროს,
 „როცა ბატონსაც ხელში აქვს ბარი
 „და გლგხთან ერთად ჰსურს ოფლი ჰღეაროს...
 „ოჰ, ღმერთო! როგორ იტრემლებოდა,
 „როცა ისმენდა ჩემს მწარე ამბავს

„და როგორ ტკბილად მეუბნებოდა,
 „მე მოუღლებო ბოლოს თქვენს ტანჯვას.
 „შუა ვაფიყოფ თქვენს გაპირებებს,
 „მეც თქვენთან ერთად ვიმუშავებო
 „ჩემ სწავლასა და ჩემსა ქონებას
 „თქვენს ძალ ღონესა შეეუერთებო;
 „ღე, მამა ჩემმა მხარულადა
 „დრო ატაროსო ნადირობაში;
 „მე კი, ძმებო, მეგობრულადა
 „ამოვიღვებოთ გვერდით შრომაში!..

შინ მიმავალი იმავ საღამოს
 ჩენი მოხუცი ასე ამბობდა;
 თან ოცენებას ტკბილს და საამოს
 ცდელივ და გულით ჰხარობდა...

1858 წ.

ღუტუ ზეგელი



წმინდა მოწამე გობრონ



ბულკასიმი და მისი ჯარი მეტად საშაშ მდგო-
 მარობაში ჩავარდა იმ დროს, რადგან შეი-
 ტყო, რომ სუმბათ სომხეთის მეფე, რომელიც
 თავის მოყვარე კონსტანტინე მეფესთან შეხიზნულ
 იყო აფხაზეთში, იქიდან დაბრუნებულიყო ისევ სომხეთ-
 ში, სადაც თითონ თავის ხელუღლებით გეგმავრე-
 ბინა კაპოეტს ციხე. იქიდან მოციქულნი დაგზავნა
 სხვა-და სხვა ქალაქებში და ხეობებში, რომ ხალხი
 ამდგარიყო, პირი მიეცათ ერთმანეთისთვის და შე-
 ბრძოლებოდენ სარკინოზებს.

ამ დროს საქართველოს ხალხი მთებში და ხე-
 ობებში იყო დახიზნული. მთელი ზემო ქართლი, ესე
 იგი ჯავახეთისა და სამცხის მიდამოს მცხოვრებნი,
 შავშეთში და ლივანაში გაიხიზნენ. ეს ქვეყნები ისე
 გაესებული იყო იმ დროს მცხოვრებლებით, რომ ნა-
 დირი და გარეული ცხოველი ქვეყნიდან გადიკარ-
 გო — ამზობს სტეფანე მტევეარი. — ხალხი სარჩოს
 რომ იერ შოკობდა, ბლახის მწვენილით, ხის ქერ-
 ქით და ფოთლით იკვებებოდა. შავშეთშივე იყო
 შეხიზნული საქართველოს მეფე ადარნასე და ეშხა-
 დებოდა მტრის გამკლავებას. მის ჰქონდა აფხაზეთის
 მეფე კონსტანტინესთან მოლაპარაკება და იქ შეხიზ-
 ნულ სომხეთის მეფე სუმბათთან მიწერ-მოწერა
 სარკინოზების წინააღმდეგ. ამ პაემანმა უფრო
 განამხივდა სომხეთის მეფე სუმბათი, და ამის გამო უფ-
 რო დაბრუნებულიყო თავის ქვეყანაში. საქართვე-
 ლო-აფხაზეთისა და სომხეთის მეფეებს: ადარნასეს,
 სუმბათს და კონსტანტინეს განზრახვა ჰქონდათ, აბულ-

კასიმი თავისი ჯარით შუაში მოემწყვდიათ. დასაველ-
 თიდან ადარნასე და კონსტანტინე უნდა მოდგომოდათ
 ჯარებით, ხოლო აღმოსავლეთით მეფე სუმბათს უნდა
 აებუნტებინა სომხეთის ცრი. მაგრამ ეს ანგარიშები
 ჯავახეთში დაბანაკებულმა აბულ-კასიმმა ადრე ვა-
 გო და, როგორც კი ხელთ იგდო წმინდა გობრონი,
 მაშინვე აიყარა თავის ჯარით და უყან დახიზა სო-
 მხეთისაკენ, რომ საჩქაროთ დასცემოდა კაპოეტის
 ციხეს, სადაც ამ დროს სუმბათ მეფე იმყოფებოდა
 და სომხეთის ჯარებს აგროებდა ..

სარკინოზებს ერთი შესანიშნავი ჩეულებოდა ჰქონ-
 დათ. ისინი ტყეებს, თუ არ მათის სარწმუნოებისას,
 ქრისტიანებს არ განიკითხავდენ, რადგან მათი ნდო-
 ბა არ ჰქონდათ და რომ თავიანთი ჯარის მოძრაო-
 ბა ტყეებით არ დაემშობებინათ, უფრო ხშირად დაე-
 რიოდენ მათ და ჰხოცდენ. აი, ამის გამო არაბების
 ჯარში ბევრი იყვენ საიდუმლო ქრისტიანები, თუმცა
 გარეგნობით მამაღიანათ მოჰქონდათ თავი.

ყველის ციხეში სამასი მეომრიდან ორასილა
 კაცი ღარჩა და ისინი ტყვედ წამოიყენა აბულ-კა-
 სიმმა. ამათში იყვენ რჩეულნი საქართველოს აზნა-
 ურთავანნი და თავადთავანცი. იმათ გაჰკრეს
 პირი, თავის ეროვნებას არ უმტყუნენ და ქრისტეს
 სარწმუნოებაზე მტკიცედ იდგენ. ამაში იმათ აწმე-
 ვებდა თეთი გობრონის მავალითი, რომელსაც თავი
 ვედადებული ჰქონდა ქრისტეს სარწმუნოებისათვის;
 ამასთანვე იმედიც ჰქონდა, რომ ადრე თუ გვიან
 საქართველოს მეფე ადარნასე და სომხეთის მეფე
 სუმბათი ერთმანეთს მიეშველებოდენ და გამოიხსნი-
 დენ მათ ტყეობისაგან. ხოლო აბულ-კასიმი სხვა-

ნარიად ფიქრობდა. იმან განუხებადა ქართველ ტყვეებს თუ არ გამაჰმადიანებულხართ, ყველანი უნდა დაგხოცო. თავებწირულმა ქართველმა მხედრობამ უარი თქვა ამაზე. მაშინ აბულ-კასიმმა გასცა ბრძანება, იმათგან ასოც-და ცამეტი კაცი გაეყვანათ ცალკე მოსაკლავად. დანარჩენი დიდებული კარის კაცები გობრონიდან ერთად ცალკე დაეყენეს და პატივით ინახადენ. ჯარჯრობით მძევნადვარ არაბთა მხედართ-მთავარს იმედი ჰქონდა, რომ იმათ შეაშინებდა და მოაქცევდა თავის სჯულზე, რაკი თვალთ დაანახებდა ამდენი ქრისტიანების შემუსვრას. მას განსაკუთრებით გულში ჩარჩა სიყვარული გობრონისა, რომელიც იყო შესანიშნავი აზოგანი, მხენ, სახიერი, განსწილული და გამოცდილი მხედართ-მთავარი. აბულ-კასიმში შეჰპირდა მას მთელი თავის ჯარის მხედართ-მთავრობას, თუ რომ უარს ჰყოფდა ქრისტეს სჯულსა.

გამოიკა თუ არა ბრძანება ქრისტიანი ტყვეების დახოცვისა, არაბთა მხედარი წინა ღამეს შეუდგნენ მახილების ღღესას: ეინ ხანჯალს პირად, ეინ ხმალს, ეინ ისარს უშეწყებდა თავს, ეინ ოროლს*) მამადებდა.

სარკინოზების ჯარს ისეთი სასიამოვნო წარმოდგენა არა მიაჩნდათ-რა, როგორც ტყვეების დახოცვა. ამას თვლიდენ საუკეთესო დროს გატარებდა და სამხედრო ვარჯიშობათ. თვით მხედართ-მთავარი, ანუ უმაღლესი ემირი სარკინოზთა ამ შემთხვევისათვის მოაწყობდა ხოლმე პალატებს, ხეივნებს, ფარდულებს და თავის დიდებულბიანა უტქერდა გულის შემადრწუნებელს საცოდობას. სარკინოზთა ართობდა და ახალისებდა მოკლულთა ღრიალი, მათი თავის წაჩვენა, ან შუბით და ოროლებით მკერდის გაბოზა. მართლაც მეორე დღეს გამოიყენეს ას ოცდაცამეტი ქართველი ველზე და მათ გარშემოტრყა ჯარი მზიარული ზარცემით, დაფა-ზურნი, საყვირებით და სიმღერა-თამაშით. ყოველს მხედარს ეტირა გოლესილი სამხედრო იარაღი და სიხარულით ელოდა იმ წამს, როდესაც პალატთა მაღალ ბანებიდან ანიშნებდა: „დაეყოთო“. ცოტას ხანს შემდეგ შეიქნა საშინელი ხმაურობა. შეიარაღებული სარკინოზები დაერივნ ქართველ ტყვეებს და დაუწყეს კაფა ქლეტა. როდესც ამდენს ტყვეებს მუსრი გააღულეს და სისხლი ტბასათი დადგა, მხედრები დასისხლიანებული მახილებით გაეშურენ იქითკენ, სადაც დიდებულნი არაბთისანი იდგენ მაღლობზე და ხმა-მაღლა ყვირილით და სისხლიანი მახილების ქნეთი მიულოცეს აბულ-კასიმს გამარჯვება. მაშინ არაბების ემირთ-ემირბა ბრძანა: გამოიყვანეთა გობრონი და მასთან საქართველოს დიდებული გერარის კაცებიო, რიცხვით სამოცდაშვიდი, წაიყვანეთ ისინი და აჩვენეთ მოკლულნიო.

ქრისტესმშობსათა არ შეუდრკათ გული ამ საშინელი სანახაობით. იმათ გზაზე ისიც შენიშნეს, რამ დიდრონ არაბების ძაღლებს მოკლულთა მხედართა გულ ღვიძლები ამოგელიჯათ და შეეცქეროდნენ. იმ დროს იმათი სული და გული ქრისტესთან იყო და თავის წველებს ღღეს გალობით შეხაროდნენ. როცა უკან დააბრუნეს გობრონი და მისი ამხანაგები, ემირთა ემირი სიყვარულით შეხედა გობრონს, აღუთქვა დიდი ნიჭი და წყალობა, ეუბნებოდა, მძად შეგიტკობ, ოღონდ მამაშენის რჯული მიიღო, მაგრამ გობრონმა უპასუხა: „გვედრები, ხელმწიფეო, ნუ მაიძულებ მე დატყვევებ ქრისტეანობისა, რომლითა აღმზარდეს მე შობილთა ჩემთა და აღბეჭდილვარ სულითა წმიდითა და რაი მიზეზი არს ესე მიზეზი სიყვარლისა ჩემისა. მრავალ არიან შენ ქვეშე ქრისტეანენი და მეცა არა დავალიო მონება ხელმწიფობასა შენსა ყოვლითა სახითა, რომლითა გენებოს შენ და ესე ჰეშმარითად უწყოდ, რამეთუ არცა ვთილთა შენთა დაქმითა, არცა ძვირძვირთა ბოროტთა შენთა ჩემზედა მოწყენითა შემძილო განყენებად უფლისა ჩემისა იესო ქრისტისა.“

მაშინ უბრძანა აბულ-კასიმმა თავის მხედრებს: წაიყვანეთ ვე და მაგის თვალწინ მოჰკალით ეანც კი დარჩენილან ქართველნი და მაგასაც გააწვდვიენთ კისერი, ღაცეთ მახილი და სუბუქათ დასქვით, ნუ მოჰკლავთ-კიო; შემდეგ მომიყვანეთო. მართლაც ჯერ მისი ტრალი და ამხანაგები და მონათესაენი დახოცეს მის თვალწინ, მერე წააწვდვიენეს კისერი და ორჯერ დაჰკრეს ხმალი სუბუქად. გამოუღდა სისხლი თუ არა გობრონს, იმან დაისხა ხელზე ეს სისხლი, იმითი გამოისახა შუბლზე სისხლის ჯვარი და ამ რიგათ წარსდგა აბულ-კასიმის წინაშე. ამ დროს იქ იდგენ რამდენიმე მხედარი, საიდუმლოთა ქრისტიანენი, რომელთაც გობრონის სახე გაბწყინებულად მოჩვენათ და შუბლზე გამოსახულს სისხლის ჯვარს თითქოს ნათელი დაჰკითოდა. აბულ-კასიმს ტანჯული გობრონი კიდევ უფრო შეეცოდა და შეუთქვარდა, ევედრებოდა სჯულის გამოცლასა და აღუთქვამდა ყოველ ქვენიურს დიდებას. „თუ არაო, სიკვდილს ვერ გადაუტრეფიო.“ წმინდა გობრონიმა მტკიცედ მუგო: „იკოლდ, რაკი ვაგნებას და მე ქრისტიანე ვარ და არასადა უარყუო სახელი მისიო.“

ასეთმა სიმტკიცემ მოთმინებიდან გამოიყვანა და გააბრუნა აბულ-კასიმში. ბრძანა ევცე იქვე მოჰკალით, სადაც მაგისი თანამემამულენი ყრიანო. შემდეგ გაათხრეინა სამი ორმო და ეს მოკლული ქართველები გობრონიამ იმ სამს ორმოში ჩააყრიენი და დაამარტუნა. წმინდა გობრონი იწამა 17 წიგმბერს მ20 წელსა ქრისტეს შემდეგ. იმათმა სიმტკიცემ საშინლად შეარყია აბულ-კასიმის მხედრობა, რომელ-

*) ოროლს ემანიან ორკაპალა ისარს. ავტ.

შორისაც მრავალი საიღუმლო ქრისტიანი ერი. ჯარში გაერდა ხმა, რომ ღამ-ღამით წამებულთა საფლავზე ზეციდან ნათელი ჩამოდისო. აბულ-კასიმმა შეიტყო თუ არა ეს ამბავი, უბრძანა მოლღებს ექადავნათ მხედრობაში, რომ მავისთანა ნათელი მამაღიანების სასაფლაოზედაც ჩნდება ხოლმეო. ამას შემდეგ საჩქაროდ აჰყარა იქიდან ჯარი აბულ-კასიმმა და შემოზღულდა კაპოეტის ციხე, სადაც შეიხიზნა სუჰმათ სომხეთის ჩვეუ თავის დიდებულებიანა. ემირთ-ემირთმა იერიშით აილა ეს ციხე, გამოიყვანა მეფე და წაივდა ქ. დღინს. აქ იმას მოესმა, რომ არაბისტანში არეულობა მოხდაო და თვით სპარსეთშიაც

განდგენ დიდებულნიო. ამ დროს სომხეთშიაც განდგენ მებრძოლი მხედრობანი. აგრეთვე საქართველოდან მოისმა ხმა, რომ ქართლ-აფხაზეთის მეფეები ჯარებს ამზადებენო. აბულ-კასიმმა სომხეთის ერის შესაზინებლად მეფეს თავი მოსჭრა და ფხვით ხეზე ჩამოაკიდებია დეითის ქალაქის მოედანზე; შემდეგ ტყავი გააძრო, რომელიც თან წაილა; ხოლო თავი მოჭრილი და გატყავებული მეფე ხეზე იყო ჩამოკიდებული, სანამდის მესისხლე მტარავალი ქალაქ დღინიდან არ გავიდა თავის ჯარით და საჩქაროთ არ გაეშურა სპარსეთისკენ. მას თან გაჰყვა წყევა-კრულვა საქართველო სომხეთისა.

გ. წერეთელი



ფრინველთა მსაჯულები

ბშირად, ძალიან ხშირად ცხოველთა საზოგადო ცხოვრება დიდად მიეგანება ადამიანების საზოგადო ცხოვრებას და შესაძარებლად ყოველთვის მაგალითად ჭინჭელები მოჰყავთ, იმათი წესიერი საზოგადო დაწყობილება — ნადრობა, ომიანობა და სხე, ან არა და ფუტკარზე ჩამოაგდებენ ღაპარაკს, რომელთაც სახელმწიფო წეს-წყობილობა მონარხიული (ერთფელებითი) აქეთ. — ფრინველებზე კი არას ამბობენ, ისინი თითქოს ყველას მიეწეებულნი ჰყავთ. ერთნაირი ფრინველები ცხოვრებენ აფრიკაში, რომელთაც ფეიქრებს ეძახიან. აფრიკელ ფეიქრებს ჭინჭელებზე უარესი საზოგადო დაწყობილობა და გამგეობა არა აქეთ. იმათს რესპუბლიკაში უფრო შესანიშნავია მსაჯულება; მეაღ ყურადღების ღირსნი არიან ყარყატები (ყანჩები), ქოლყეაგები და ყორნები.

მკათათვის გასულს ყარყატები (ყანჩები) ჩვეულებრივ თავს მოიყრიან ხოლმე ერთს რომელსაჲმ ამოარჩეულ ადგილზე. ამ ყრილობაზე დიდი ყაყანით სწყეცტენ საქმეს, სასჯელს სდებენ, დაწმავებს ჰკლავენ, აგრეთვე ვინც უძლურია და არ შეუძლია შორს ქვეყანაში მოგზაურობა, იმათაც იქვე ბოლოს მოუღლებენ. თუ დაწმავებ არ გამოცხადდება მსაჯულების წინაშე, მაშინ ბინაზე მიუტევიან, გაუნადგურებენ ყველაფერს და თუ ერთი მსაჯული ვერ მოერევა, იმას მთელი ფრინველთა რაზმი მიეშველება და როდესაც განჩინებას მოიყვანენ სისრულეში, ყარყატები აფრინდებიან ჰაერში და მთელ რაზმით გაემგზავრებიან თბილ ქვეყნებში.

ქოლყეაგებსაც თურმე თავიანთი კანონები აქეთ. ზოგიერთი მათგანი, როდესაც ბუღეს აკეთებს, მოჰყვება ხოლმე ქურდობას. დინჯავს თუ არა უხატრონოთ ბუღეს, მაშინვე დაიწყებს იქიდან წწელისა და სხვა მასლის პარვას და თავის ბინაზე მიზიდვას. მაგრამ ამ ქურდობას სასჯელი მოსდევს. სხვა ქოლყეაგები პირი-პირს მისცემენ ერთმანეთს, ერთად დაეცემაინ ქურდს და ბუღეს ჩაუშლიან.

ბებრნი მეცნიერნი თვალს ადგენებენ, აევირდებიან ფრინველების ჩვეულებას. კარგილის ენისკაპოსს ერთხელ მოუხდა ნახვა, ქოლყეაგები როგორ სჯიდენ თავის მოძმეს. დაწმავებენ თითქოს თავის გასამართლებლად წარმოსთქვა გრძელი სიტყვა. მსაჯულებმა ჩხვილით რაღაც უპასუბეს. ზოგს თითქოს დაწმავებს მხარე ეჭირა, მას ამართლებდენ. ბოლოს თითქოს მართლაც გამართლდა, რადგან დაშვიდებული დაბრუნდა თავის სამრეკლოზე. დაწარჩენი ქოლყეაგები კი წაიღ-წამოვიდენ თავიანთ ბუღეებისკენ.

მაგრამ ყველაზე მეტად ყორნებს სწამთ მართლ-მსაჯულება. ინგლისში დედლად-მამალი ყორნები ერთმანეთზე შორიშორის ცხოვრებენ ზოგჯერ ყველანი ერთბაშად მოგროვებიან სადმე მინდორზე. მოხდება ისეც, რომ ორი-სამი დღე უტღიან ერთმანეთს. მერე მოჰყვებიან ჩხვილს — სჯიან დაწმავებს, და საქმე იმითი თავდება, რომ თითონ მსაჯულები, ბრალდებელი, ბოქოლები და სხვები მიჯაღდებიან დაწმავებს, სწევენ, მოჰკლავენ და დაშვიდებულნი შინ დაბრუნდებიან.

ყორნების მსაჯულებს იმითი უფრო არჩევენ მეცნიერები, რომ ამათ სასაცილოდ ნაღლე იანი სა-




ხეები აქვთ და თავ-ჩაღუნულნი არიან, როდესაც გა-
ნაჩენს აყენებენ.

ყორნების მსაჯულობაზე ერთი ინგლისელი გე-
ნერალი, ინდოეთში მცხოვრები, მოგვითხრობს შემ-
დეგ საყურადღებო ამბავს. თურმე ეს ერთხელ თავის
სახლის აივანზე იჯდა. ამ დროს დაუნახავს, რომ

მეზობლის ბანზე მოფრენილა სამი, თუ ოთხი ყორა-
ნი და დაუწყიათ საშინლად ჩხაილი. ამ ჩხაილზე
მოფრენილა ყველა მხრიდან იმდენი ყორნები, რომ
სახლის სახურავი მთლად ჩაშავებულა და ატეხილა
თავ-ზარ-დასაცემი ჩხაილი. ზოგი ყორნები აღელვე-
ბისაკან ერთ ადგილას ვერ დამსხდარან. თურმე რო-
დესაც ჩხაილით გული იჯერეს, მერე ერთიანად აი-

შალენ და მოჰყენ ტრიალს ჰაერში ექსპოდენ ყორ-
ნის თავზე. ერთი ამ ექსტაგანი ეტყობოდა, რომ
დასჯილი უნდა ყოფილიყო და დანარჩენები განჩი-
ნებას თუ ასრულებდენ, რადგან უწყალოდ ნისკარ-


ტით სცემდენ და იქამდის გაღვირეს საქმე, რომ სა-
ბრალო დასჯილი ღონე-მხიდილი დაეცა მიწაზე.
ყორნები მხოლოდ მაშინ მოცილდენ მას და წველ-
წამოვიდენ.



ჩინოგნიკის მცნება:

ღია წერილი ბ-ნ გ. წერეთელს

მოწყალეო ხელმწიფე!



უ კი გინდა სამსახურში
მეუფროსის მოწყალებად,
არ გაბეღო საკუთარი
იქონიო შენ მსჯელობა.
ეთ ფინია ფეხზე დადექ,
უფროსს თვალში შეაძქერდი.
რაც რომ გითხრას, დაიჯერე.
თუ კი გინდა გქონდეს ბედი.
თუ თქვას თეთრი შაეიო,
გაუტინე, დაეთანხმე.
როცა თითონ მზიარულობს,
მზიარული გქონდეს სახე,
როცა ნახო მოწყინილი,
ჩამოყარე შენც ყურები,
გაგინოს და გაგათრიოს,
მისთვის ნუ დემუღერები.
მისთვის რომა უფროსია,
თუ გინდ იყოს ის სულელი.
მას თუ არ დაემორჩილე,
შენ სიკეთეს ნულარ ელი.
არ წამოგდეს ცუდი სიტყვა,
მეუფროსის შესახებ,
თორემ პანჩურს ამოგკრავენ,
ხათაბალს გაებმები.
ხასიათსა შეგიბღალაეს,
შემოგაწამებს დელატობას.
უფროსებთან დაგაბეზღებს,
არ მოგიშლის არსად მტრობას.
ამიტომაჲ გიჩიყენია,
გიჩიყენია ჩუმად იყო.
ჩემი მცნება დაიცევი,
სამსახურში სადაც იყო:
ილაობე, ილაქტეო,
შებტენი და შემობტენი;
მაშინ მოყრად გაგიბდება
მეუფროსე, თუ გყავს მტერი.



ვალის უკანასკნელ ნომერში დაბეძულია ქართულ
თეატრის შესახებ ვიღაც მახაკელის შენიშვნა, რომე-
ლიც ჩვენს პირადობას და ადამიანურ ღირსებას შეე-
ხება.

თქვენი გახეთი ყოვლად უმიზნოდ და სრულიად უსა-
ფუძვლოდ საშინელს ცილს მუშავს, ვითომც მე კლავიკორე-
ბი შევედეს, ვითომც მე შესყიდული ტაშის მკვრელები მეს-
ხდენ თეატრში. შენიშვნის ავტორს და თვით რედაქციას კარ-
გად უნდა ესმოდას, თუ რა მნიშე და ჩირქწყამებტი შეუჩაქს-
ყოფა ჩემთვის ბ-ნ მახაკელის ესეთი აშკარა და პირახეული
სიტყუე.

მე ყარგად მაქვს შეგნებული, რომ ყოველს მოღვაწეს,
დიდ თუ პატარას მის შინაშეულობისა და გვართად ხშირად აღარ
ასკილდება ხოლმე ყუბად აღუბა და ავად ხუნება, ყარგად მეს-
მის და მკერა ჩვენი ერთგული ანდაზია სიბრძნე ნუ შეხვალ
ნუ უბანები, ნუ გამოხვალ, ნუ თითოთო... ჩვენი პოეტის აკაეის
არ იყოს, რაკი ერთხელ თავზედ ხელი ავიდე და გამოველ
სახუაგაო ასაარეზედ, ვიცი რომ წყევა და უსამოგნება აღარ
ამკილდება... ამიტომ სრულებით არა მჭყენს, როცა ჩემზე
უფართებულოდ და უსამართლოდ სწყერენ და სტორავენ რასმე.

მეტს ვიტყვი. თქვენ და თქვენს მახაკელსა თუ მახაკელსა
შეგმილიანთ, ვითომ და კრიტიკის სახელით, კბილებით ბგლი-
ჯოთ და ფეხებით სიყოლით ყოველივე ჩემი ავტორობის ნიჭი
და უნარი, ღვაწლი და შევადინებოდა,—ცხ სრულს თქვენს უფ-
ლებამა და თქვენს ზნესა და ხასიათზედ ჰკილია, როგორ მო-
ინძართ ამ უბრალო შემთხვევით მონიჭებულ უფლებას, კეთი-
ლად თუ ბოროტად, მე არა მეთქმის რა... აკი, მიტომაც ხნას
არ ვიღებდი და კრინტოც არ დამიზრავს თქვენსა და თქვენი
გახეთის შესახებ, თემკა, როგორც ყველამ უწყის, ამ
სუზონის პირველ წარმოდგენიდან დღევანდლამდე გამუღმებით
ავად მიხსენიებთ და ცუდის მეტს არასდერს ხედავთ ჩემს
ავტორობასა და აქტიორობაში... ვიმეორებ ცხ თქვენი უფ-
ლება და დაღმართმა ხელი მოგამართოთ ამიერიდან უკუ-
ნისამდე ჩემს ლანძღვა-თრევეში... სხვამ თუ არა, მე და
თქვენ ხომ ყარგად ვიცი, რა თვისებისა და ღირსებისანი არიან
ხსენებელი შენიშვნები და საიდან წარმოსდგენას ჩემი თქვე-
ნიერ ათეულწუნება, ხოლო დარწმუნებულ უნდა ბრძანდებო-
დეთ, რომ ერთს წუთსაც ნებას არავის მიეცემ დაუსჯელოდ
ბიზარად შეუჩაქსყოფა მომავლენ.

განა გუეთ-მყოფელი და სუფთა ადამიანისაგან დასაჯე-
რებელია, რომ მე ან სხვა ვინმე ჩვენი თეატრის აქტიორობა-

განი, შესყიდულ კლავიროებს იხედეს ქართულ თეატრში, იმ თეატრში, რომელსაც ავტო თავ-გამოდებით, ერთგულად და უნაწაროთ ვეშაფურებით ავტო თორმეტის წლის განმავლობაში? მაშ რისთვის ან ვისთვის იბეჭდება ესეთი ყოვლად უმეადესი ცილისწამება?!

თქვენ არც ისეთი ხანში ხართ და არც ისეთი მიუხედრელი ბრძანებით, რომ არ გესმოდეთ ასეთი ცილისწამებას რა შედეგაც მოსდევს... ამიტომ ვითხოვ, რომ თქვენვე თქვენს განხეთმა დაუყოვნებლივ გაასწოროთ ეს წინადა-განზრახული შეცდომა, რომელიც ჩემი პირადობის და კაცებურ ღირსების შეურაცხყოფისათვის იყო მოჭორილი.

ვალერიან გუნია.

1893 წ.

